ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 6

ქ. თბილისი, 7 მარტი, 2024 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი.

სხდომას ესწრებოდა 23 ხმის უფლების მქონე წევრი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

2. კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

3. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების და დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

6. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№4232/10, 16.02.2024) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2006 წლის კურსდამთავრებულ ლევან მასპინძელაშვილის დიპლომის დანართი და მისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან. საქმისწარმოებისას აუცილებელი გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №55/01-01, 16.04.2014 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ლევან მასპინძელაშვილის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო რეკვიზიტების დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად, მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ ლევან მასპინძელაშვილი 2002 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების

დასწრებული სწავლების ტურიზმის კომერცია და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობაზე (ბრძანება №4/977, 27.08.2002).

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2007 წლის 14 დეკემბრის №1619/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ლევან მასპინძელაშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2013 წლის 13 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №15) დღის წესრიგში დადგა საკითხი **„კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებისა და მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ“**. კერძოდ, «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2007 წლის 14 დეკემბრის №1619/01-04 ბრძანებით კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების სპეციალობათა ჩამონათვალთან. საბჭომ დაადგინა, რომ **„შევიდეს ცვლილება თსუ რექტორის 1619/01-04, 14.12.2007 ბრძანებაში და მოხდეს მინიჭებული ხარისხების კორექტირება: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად ლევან მასპინძელაშვილს მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოებით დასტურდება ლევან მასპინძელაშვილის სწავლისა და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ფაქტი და რადგან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არ იძებნება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2006 წლის კურსდამთავრებულთათვის 2006 და 2007 წლის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კვალიფიკაციის მინიჭების სხდომის ოქმები, მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის

გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

ასოცირებულმა პროფესორმა, ქალბატონ მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ განიხილონ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ლევან მასპინძელაშვილის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის საკითხი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. გ. ღაღანიძემ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2007 წლის 14 დეკემბრის №1619/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კომერციისა და სარეკლამო ბიზნესის სპეციალობის 2006 წლის კურსდამთავრებულ ლევან მასპინძელაშვილისთვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 14 დეკემბერი***, ხოლო ოქმის ნომრად ***№1619/3***.

მოისმინეს: **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა** საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№4760/10, 21.02.2024) თსუ სასწავლო პროცესის

მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2009 წლის კურსდამთავრებულ თინათინ სვანიძის დიპლომის დანართი. საქმისწარმოებისას აუცილებელი გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №55/01-01, 16.04.2014 ბრძანების შესაბამისად დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

თინათინ სვანიძის სახელზე უნდა მომზადდეს ახალი დიპლომი და დიპლომის დანართი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების თანახმად ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღის და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო რეკვიზიტების დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად, მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ თინათინ სვანიძე 2004 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დაუსწრებელი

სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/1014, 16.09.2004).

„ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2333/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 21 სექტემბრის №2 გადაწყვეტილების შესაბამისად, ბიზნესი და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ თინათინ სვანიძეს მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცა შესაბამისი დიპლომი *(საფუძველი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება №26922/02, 11.11.2009).*

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა დამატებით მოიძია 2009 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები. კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №2);
- ეკონომიკის მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის და 2009 წლის 21 სექტემბრის სხდომის ოქმები (№1, №3).

ვინაიდან, წარმოდგენილ ოქმების დანართებში არ იძებნება თინათინ სვანიძის გვარი, ამიტომ მიზანშეწონილია აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ“.

ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, რომ განიხილონ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურსდამთავრებულ **თინათინ სვანიძის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის საკითხი.

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2009 წლის 27 ნოემბრის №2333/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესი და მართვის სპეციალობის 2009 წლის კურსდამთავრებულ თინათინ სვანიძის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია და აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს *2009 წლის 27 ნოემბერი*, ხოლო ოქმის ნომრად *№2333/3*.

მოისმინეს: კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№5687/10, 29.02.2024) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლის კურსდამთავრებულ ანზორ ერგეშიძისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ ანზორ ერგეშიძე 1998 წელს ფასიან სწავლებაზე მისაღები გამოცდებისა და ტესტირების შედეგების მიხედვით ჩაირიცხა კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგის სპეციალობაზე (ბრძანება №4/595, 29.08.1998).

კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის დღის განყოფილების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ **ანზორ ერგეშიძეს** კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 15 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №2) მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით**, ხოლო ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 25 ივლისის №4/950 ბრძანებით მიენიჭა **ვაჭრობის ეკონომიკის და მარკეტინგის ბაკალავრიატის ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

ანზორ ერგეშიძისთვის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი №2, 15.06.2002) მინიჭებული ხარისხი/კვალიფიკაცია არ არის შესაბამისობაში ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/950, 25.07.2002) მინიჭებულ ხარისხთან/კვალიფიკაციასთან.

ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით, რომ ყოფილი კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დასწრებული სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ ანზორ ერგეშიძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით“. ამასთან, აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№2, 15.06.2002) მითითებულ ფასიანი სწავლების დღის განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფ. ნ.თოდუამ

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის ფასიანი სწავლების ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობის დღის განყოფილების 2002 წლის კურსდამთავრებულ **ანზორ ერგეშიძეს** ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ვაჭრობის ეკონომიკისა და მარკეტინგის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციით“**.
2. აღნიშნული პირობა გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტის საქონელმიმოქცევის ეკონომიკისა და მარკეტინგის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 15.06.2002)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

ა) მიენიჭოს ***ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი*** 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებითი:

1	გობეჯიშვილი კონსტანტინე	01001086854

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	ბანცაძე თათია	57001060811
2	გიორგობიანი ირაკლი	01030051594
3	იაკობაძე ნაია	61009030584

ბ) მიენიჭოს **ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი** 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	კობერიძე ვახტანგი	01019085562
2	მაჩიტიძე ალექსანდრე	18001067817
3	ყირმელაშვილი მარიამი	01011088918

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

ა) მიენიჭოს ***ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი*** 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი წარჩინებითი:

1	გობეჯიშვილი კონსტანტინე	01001086854

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	ბანცაძე თათია	57001060811
2	გიორგობიანი ირაკლი	01030051594
3	იაკობაძე ნაია	61009030584

ბ) მიენიჭოს **ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი** 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1	კობერიძე ვახტანგი	01019085562
2	მაჩიტიძე ალექსანდრე	18001067817
3	ყირმელაშვილი მარიამი	01011088918

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე, ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა მანანა ლობჟანიძემ წარმოადგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტების სადისერტაციო თემები და მეცნიერ ხელმძღვანელები:

1. **ლანა ოსიშვილი - ,,ტურისტულ რეკრეაციული რესურსების გამოყენების ზეგავლენა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე“.**
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ვალერი არღუთაშვილი**

2. **გიორგი ხმელიძე - ,,რისკების შეფასების სრულყოფის მიმართულებები ფერმერულ მეურნეობებში" (მრავალწლიანი კულტურების მაგალითზე).**
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია**

3. **გიორგი სახლთხუციშვილი - ,,საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის სავაჭრო ურთიერთობების პრიორიტეტები."**
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე**

4. **მიხეილ კილასონია - ,,ონლაინ ყიდვის დეტერმინანტების გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე“**
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი ნუგზარ თოდუა**

5. **გიორგი ღვალაძე - ,,სენსორული მარკეტინგის გავლენა მომხმარებელთა მყიდველობით განზრახვაზე“**
   მეცნიერ-ხელმძღვანელი: **პროფესორი ნუგზარ თოდუა**

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფ. გ. ღაღანიძემ, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ე. ხარაიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო თემები და მეცნიერ ხელმძღვანელები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების და დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ

/დეკანის მოადგილე ,ასოც. პროფ. მ. ლობჟანიძე/

1. **ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **მარიამ ჭურჭელაურის** სადისერტაციო ნაშრომის - **„სატრანსპორტო კლასტერის ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოს ეკონომიკაში“** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე**).

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
2. პროფესორი რომან მამულაძე (ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. პროფესორი იური ანანიაშვილი
3. პროფესორი თემურ ბერიძე
4. პროფესორი რევაზ გველესიანი
5. პროფესორი სიმონ გელაშვილი
6. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
7. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
8. პროფესორი მირიან ტუხაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
10. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია
11. ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი
12. ასოცირებული პროფესორი ირინა გოგორიშვილი
13. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
14. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი
15. **პროფესორი ნინო გრიგოლაია** ***(თბილისის ღია უნივერსიტეტი)***
16. ასისტენტ-პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი
17. ასისტენტ-პროფესორი ნინო ლობჟანიძე

აზრი გამოთქვეს: პროფ. გ. ღაღანიძემ, პროფ. ს. გელაშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტ **მარიამ ჭურჭელაურის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლები და დაცვის კომისია წარმოდგენილი სახით.

2. **ეკონომიკის** სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ **ნესტან გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის **„გარემოსდაცვითი შედეგების გავლენა საზოგადოების კეთილდღეობაზე საქართველოში“** (მეცნიერ-ხელმძღვანელი: **ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი**), შემფასებლების და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცება.

შემფასებლები:

1. ასოცირებული პროფესორი მამუკა ხუსკივაძე
2. ეკონომიკის დოქტორი ვანო ბენიძე (**კავკასიის უნივერსიტეტი**)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა
2. პროფესორი იური ანანიაშვილი
3. პროფესორი თემურ ბერიძე
4. პროფესორი რევაზ გველესიანი
5. პროფესორი სიმონ გელაშვილი
6. პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი
7. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი
8. პროფესორი მირიან ტუხაშვილი
9. ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე
10. ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია
11. ასოცირებული პროფესორი გულნაზ ერქომაიშვილი
12. ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე
13. ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი
14. **პროფესორი ნინო გრიგოლაია *(თბილისის ღია უნივერსიტეტი)***
15. ასისტენტ-პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი
16. ასისტენტ-პროფესორი ნინო ლობჟანიძე

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: **მომხრე** - 23

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტ **ნესტან გაფრინდაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლები და დაცვის კომისია წარმოდგენილი სახით.

მიმდინარე საკითხები

1. დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მიმდინარეობს საუბარი უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს ფუნქციის შესახებ. საბჭოს წევრთა უმრავლესობის აზრით, სასურველია უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დარჩეს პროცედურული შემოწმების ფუნქცია;
2. მიმდინარე წელს უნდა მოხდეს თსუ-ს ავტორიზაცია, ასევე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამების აკრედიტაცია. საკმაოდ შრომატევადი სამუშაოებია ჩასატარებელი.

   პროფესორმა გ. ღაღანიძემ და საბჭოს წევრებმა აკადემიური საბჭოს წევრ მამუკა ხუსკივაძეს მიულოცეს ავტორიზაციის საბჭოში არჩევა;
3. 2025 წელს ტარდება აკადემიური პერსონალის კონკურსი. ამასთან დაკავშირებით ორი თვის ვადაში მომზადდეს წინადადებები კონკურსის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით. წინადადებები შევიდეს კანცელარიაში. რა პუნქტსაც ვცვლით, ის უნდა იყოს განმარტებული. ფაკულტეტზე შეიქმნას კომისია და მოსმენილ იქნას ყველა წინადადება. ეს არის თსუ საკონკურსო წესი და უნდა გავიდეს აკადემიურ საბჭოზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი **გ. ღაღანიძე**

მდივანი, ასოცირებული პროფესორი **გ. ერქომაიშვილი**